სენაკის

ადგილობრივი გენდერული ჯგუფების

საჭიროებების შეფასება

კვლევა მომზადდა ფონდი „სოხუმის“ მიერ პროექტის „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“ ფარგლებში.

მისი განხორციელება შესაძლებელი გახდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ფონდის მხარდაჭერის შედეგად (პროექტის კოორდინაციას ახორციელებს გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოში).

ივნისი, 2014

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ფონდი „სოხუმის“ მიერ. ანგარიშზე მუშაობდა ემა კამკია. საჭიროებების კვლევა ჩაატარა სენაკის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ.

გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სენაკის ამომრჩეველ ქალთა კლუბს, გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს.

კვლევის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ავტორი.

„არასამთავრობო ორგანიზაციებს განსაკუთრებული როლი აქვთ ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე დამყარებული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ინტელექტუალური კლიმატის შექმნაში. ქალთა ორგანიზაციები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული გენდერული თანასწორობის მიღწევისაკენ მიმართული პოლიტიკის განხორციელებასა და მონიტორინგში“.

პეკინის მოქმედებათა პლატფორმა, 289 პუნქტი.

გენდერული საჭიროებების ადგილობრივ დონეზე შესწავლა და მათი გათვალისწინება ადგილობრივ პოლიტიკასა და პროგრამებში, გენდერულად ორიენტირებული ადგილობრივი ბიუჯეტის პრაქტიკის დანერგვა სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენია.
საყოველთაოდ დამკვიდრებული მოსაზრებით, სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს გენდერული პარამეტრების დანერგვა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, რაც გულისხობს შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, მცირე ბიზნესის განვითარებასა და მეწარმე ქალთა წახალისებას, სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკის შემუშავებას გენდერული პარამეტრების გათვალისწინებით, გენდერულად მგრძნობიარე სოციალური დაცვის პოლიტიკისა და დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებას. გადაუდებელი ამოცანაა, აგრეთვე, ოჯახური ძალადობისაგან დაცვის ეფექტური სისტემის შექმნა და სათანადო სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედება.

გენდერული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად არის მიჩნეული **გენდერული ბიუჯეტის** პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებისას.

გენდერული ბიუჯეტის ცნება შედარებით ახალია და ითვალისწინებს ბიუჯეტის გენდერულ ანალიზს, რომელიც წარმოაჩენს ქალებსა და მამაკაცებზე საბიუჯეტო ხარჯების განსხვავებულ გავლენას და ხელს უწყობს ბიუჯეტის ისეთ დაგეგმვას, რომელიც საბიუჯეტო რესურსებს თანაბრად მისაწვდომს ხდის ორივე სქესისათვის.

როგორც გენდერის სპეციალისტები განმარტავენ, გენდერული ბიუჯეტი ითვალისწინებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთა მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. „გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი არ ნიშნავს ცალ-ცალკე ბიუჯეტს ქალებისა და მამაკაცებისათვის. პირიქით, ის უზრუნველყოფს გენდერული ცნობიერების დამკვიდრებას ცალ-ცალკე პოლისებში და სხვადასხვა ინსტანციის ბიუჯეტებში“.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს სენაკის სინამდვილეში გენდერული ჯგუფების (ქალები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, ახალგაზრდები, ნაციონალური უმცირესობები და სხვ.) საჭიროებების კვლევას და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მიწოდებას.

კვლევის მიზნები და ამოცანები, მეთოდოლოგია, სამიზნე ჯგუფები და რესპონდენტები განისაზღვრა კვლევის დამკვეთის - ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმის“ მიერ. კვლევის საველე სამუშაოები ჩაატარა სენაკის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ.

ჩატარებული კვლევის მონაცემები - რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ.

რაოდენობრივი კვლევა

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით, გამოკითხვის ტექნიკით

სულ გამოიკითხა 100 რესპონდენტი

ცხრილი №1

კვლევის მეთოდი	რაოდენობრივი კვლევა
კვლევის ტექნიკა	პირისპირ ინტერვიუ (გამოკითხვა)

სამიზნე სეგმენტი	იგპ ქალები, სოციალურად დაუცველები, ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრები, მცირე მეწარმეები
კვლევის არეალი	სენაკი
შერჩევის ზომა	100 პირი
შერჩევის მეთოდი	წინასწარი/მიზნობრივი შერჩევა
შერჩევის ცთომილება	2%
ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა	15-20 წუთი
კვლევის ჩატარების თარიღი	აპრილი, 2014

გამოკითხვა მიზნად ისახავდა სენაკში მცხოვრები ე.წ. გენდერული ჯგუფების - ქალები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველები, ამომრჩეველ ქალთ კლუბის წევრები, მცირე მეწარმეები - გამოკითხვას მათი გენდერული საჭიროებების გამოსავლენად.

გამოკითხვას აწარმოებდა სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ოთხკაციანი ჯგუფი.

გამოკითხვა ჩატარდა 2014 წლის აპრილში, სულ გამოიკითხა 100 რესპონდენტი, წინასწარი შერჩევის პრინციპით. წინასწარ განისაზღვრა სქესი (უმეტესად ქალები) და ასაკობრივი ბალანსი (16 წლიდან და 50 წ. ზევით).

კითხვარი შედგებოდა 13 კითხვისაგან და ე.წ. დემოგრაფიული ნაწილისაგან, რაც მიზნად ისახავდა რესპონდენტების შესახებ ინფორმაციის მოძიებას. (ასაკი, საცხოვრებლის ტიპი, ოჯახური მდგომარეობა, განათლება, საქმიანობის ტიპი, ოჯახის წევრების რაოდენობა (მათ შორის ბავშვების), ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი.

გამოკითხვის შედეგები

დემოგრაფიული ბლოკი

რესპონდენტთა ასაკობრივი ზღვარი იყო 18-დან 73 წლამდე, რაც ჯამში 3 ასაკობრივ ჯგუფში გადანაწილდა.



დიაგრამა N1

გამოკითხვამ უჩვენა, რომ რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი ცხოვრობს იგპ-თა კოლექტიურ ცენტრებში (საერთო რაოდენობის 24%). გამოკითხული 30 დევნილიდან მხილოდ 7 აქვს საკუთრებაში საცხოვრისი. 3 რესპონდენტი ცხოვრობს ნაქირავებში.



დიაგრამა N2

ოჯახური მდგომარეობა

დემოგრაფიულ ბლოკში განსაზღვრული იყო გამოკითხულთა ოჯახური მდომარეობა. 100 გამოკითხულიდან 6 ქვრივია, 4 განქორწინებული. გამოკითხულთა შორის იყო 2 მარტოხელა დედა.

ცხრილი N1

	ა)დაქორწინებული	ბ)დაუქორწინებელი	გ)განქორწინებული გაშორებული	დ)ქვრივი
იგპ	22	6	0	2
სოციალურად დაუცველები	25	5	0	0
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	10	6	3	1
მეწარმე ქალები	13	3	1	3
საერთო რაოდენობა	**70**	**20**	**4**	**6**
სულ	**100**			

6. განათლება

გამოკითხულთა განათლების დონის მაჩვენებლის სტატისტიკა ცხადყოფს, რომ სამიზნე ჯგუფის უმეტესი ნაწილი ფლობს განათლების ცენზს (41%). მათ შორის ყველაზე მეტია იგპ-თა ჯგუფში. (30-დან 19 გამოკითხული). 100-დან 32 გამოკითხული არასრული საშუალო განათლებითაა. მათ შორის ყველაზე მეტია სოციალურად დაუცველი, 30 გამოკითხულიდან - 27. გამოკითხულთა 23% აღნიშნავს, რომ არის საშუალო პროფესიული განათლებით. ყველაზე ნაკლები უმაღლესი განათლებით არის სოციალურად დაუცველთა ჯგუფში (დიაგრამა N3)

დიაგრამა



N3

7. საქმიანობის ტიპი

გამოკითხვამ ცხადყო, რომ სამიზნე ჯგუფებში უმუშევრობის ძალიან მაღალი მაჩვენებელია. 100 გამოკითხულიდან ნახევარზე მეტი (57%) უმუშევარია. მათ შორის ყველაზე გამოკვეთილად - სოციალურად დაუცველებში (100%). თვითდასაქმებული რესპონდენტების რიცხვი (17%). კერძო სექტორში - 4 გამოკითხული.

ამომრჩეველ ქალთა კლუბის 8 წარმომადგენელი დასაქმებულია სახელმწიფო სექტორში. სახელმწიფო სექტორში წარმოდგენილია 10 დევნილი, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

პასუხები მოცემულია ცხრილში (N2)

	ა)დასაქმებული სახელმწიფო სექტორში	ბ) კერძო სექტორში	გ) თვითდასაქმებული	დ) უმუშევარი	ე) სტუდენტი
იგპ	10	3	0	17	0
სოციალურად დაუცველები	0	0	0	30	
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	8	1	1	10	0
მეწარმე ქალები	0	4	16	0	0
საერთო რაოდენობა	18	8	17	57	0

8. ოჯახის წევრების რაოდენობა

ოჯახის წევრების რაოდენობის სტატისტიკამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა ნახევარზე ცოტათი ნაკლები 3-5 სულიანი ოჯახიდანაა. 28 გამოკითხული წარმოადგენს მრავალშვილიან ოჯახს. ყველაზე მეტი მრავალსულიანი ოჯახი სოციალურად დაუცველთა ჯგუფშია. ასევე სამზე მეტი შვილი ყველაზე ხშირად დაფიქსირდა სოციალურად დაუცველთა ოჯახში.

დიაგრამა N4



მათ შორის - ბავშვები

ცხრილი N3

	ა) 1-3	ბ) 3-5	გ) 5-ზე მეტი
იგპ	11	0	1
სოციალურად დაუცველები	8	11	2
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	6	3	0
მცირე მეწარმეები	12	1	1
საერთო რაოდენობა	**37**	**15**	**4**

9. ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი

გამოკითხული რესპონდენტების უფრო მეტი ნაწილის ოჯახის თვიური ბიუჯეტი 300 ლარამდეა. 24 გამოკითხული აფიქსირებს, რომ მათი თვიური შემოსავალი არ აღემატება 150 ლარს. 43 გამოკითხული აცხადებს, რომ მათი საშუალო თვიური შემოსავალი არის სამას ლარზე მეტი. მონაცემების სეგრეგაცია ჯგუფების მიხედვით ასე გამოიყურება: (ცხრილი N4)

ცხრილი N4

	ა)150	ბ) 300	გ) 300 ლარს ზევით

	ლარამდე	ლარამდე	
იგპ	7	9	14
სოციალურად დაუცველები	8	11	11
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	5	5	10
მცირე მეწარმეები	4	8	8
საერთო რაოდენობა	**24**	**33**	**43**
სულ 100			

ძირითადი ბლოკი

ძირითადი ბლოკი მოიცავდა 13 კითხვას.

1. კითხვა: **გაქვთ თუ არა ინფორმაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან დედებისა და ქალების დახმარების პროგრამების შესახებ?**

ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული ადგილობრივ პროგრამებზე დედათა და ქალთათვის აღმოჩნდნენ ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრები. მწირი ინფორმაცია აქვთ (13) ან საერთოდ არა აქვთ (17 გამოკითხული) იგპ-თა ჯგუფის წევრებს.

მონაცემები ასახულია დიაგრამაში N5



2. კითხვა: თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას ქალებისა და კაცების (საზოგადოების სხვა სპეციფიკური ჯგუფების) პრობლემების თანაბარ დონეზე გათვალისწინება?

კითხვა მიზნად ისახავდა რესპონდენტთა დამოკიდებულების გამოვლენას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფზე ბიუჯეტის თანაბარი განაწილების საკითხისადმი. გამოვლინდა, რომ გამოკითხულები ქალების და კაცების, საზოგადოების სხვა გენდერული ჯგუფების პრობლემების თანაბარ დონეზე გათვალისწინებას ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას უმეტესად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. საკითხს მეტნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევს

25%. ამ საკითხების მნიშვნელობას ვერ აცნობიერებს გამოკითხულთა 6%. ჩამოყალიბებული აზრი არ გააჩნია გამოკითხულთა 13%-ს.

პასუხები გამოსახულია დიაგრამაზე (N6)



N6

3. კითხვა: თქვენი აზრით, შემდეგი სფეროებიდან, დაფინანსების კუთხით რომელი უნდა იყოს პრიორიტეტული ადგილობრივ დონეზე? (აირჩიეთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი): ა) ჯანდაცვა; ბ) განათლება; გ) სოციალური დაცვა; დ) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; ე) სხვა

გამოკითხულთა აზრით, პრიორიტეტი უნდა იყოს ჯანდაცვა. დაახლოებით ერთნაირი იყო პასუხები სოციალური დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, განათლების საკითხებთან მიმართებაში (ცხრილი №5).

	ა	ბ	გ	დ	ე
იგპ	29	25	17	18	0
სოციალურად დაუცველები	25	16	25	23	0
ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრები	16	13	14	9	0
მეწარმე ქალები	18	11	14	16	0
საერთო რაოდენობა	88	65	70	66	0
სულ	289				

(ცხრილი №5)

4. კითხვა: ვისი საჭიროებების გათვალისწინება მიგაჩნიათ უფრო მნიშვნელოვნად ადგილობრივ ბიუჯეტში? (აირჩიეთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი)
ა) ახალგაზრდა ოჯახები; ბ) იგპ; გ) ორსული ქალები; დ) მზრუნველობამოკლებული ბავშვები; ე) სოციალურად დაუცველი ოჯახები; ვ) ეთნიკური უმცირესობები; ზ) მოხუცები; თ) სხვა.
ყველაზე ხშირად პრიორიტეტულ ჯგუფში არჩეული იქნა მოხუცები.

მოცემულია სეგრეგირებული ცხრილი: (N6)

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
იგპ	14	3	12	20	17	0	24

სოციალურად დაუცველები	23	0	14	13	16	2	22
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	4	1	3	12	14	1	12
მეწარმე ქალები	4	0	4	18	16	0	16
საერთო პასუხები	45	4	33	63	63	3	74
სულ	285						

5. კითხვა: დაასახელეთ თქვენი ყველაზე სასიცოცხლო საჭიროება, რომელიც გჭირდებათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

გამოკითხულთა 43% პირველად სასიცოცხლო საჭიროებად დასაქმებას ასახელებს. 27% სასიცოცხლოდ აუცილებლად მიიჩნევს საბინაო პირობების გაუმჯობესებას. გამოკითხულები კვალიფიციური განათლების საჭიროება შედარებით ნაკლებად იქნა დანახული (9%). კვალიფიციური განათლების საჭიროება არ დასახელებულა მცირე მეწარმეთა ჯგუფში. ამ დროს მათი 55% ასახელებს დასაქმებას, როგორც ყველაზე სასიცოცხლო საჭიროებას. ადგილობრივ სოციალურ პროგრამებში ინტეგრირების აუცილებლობას პირველადად მიიჩნევს გამოკითხულთა 19%.

კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა.

დიაგრამა N7



6. კითხვა: ჩამოთვლილთაგან რომელია თქვენი ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელი მიზეზი?

მისი ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელ უპირველეს მიზეზად გამოკითხულთა 50% ასახელებს სასტარტო კაპიტალის არქონას. პასუხი „არ მაქვს პროფესია“ ყველაზე ხშირად ფიქსირდება იგპ-თა ჯგუფში (30 გამოკითხულიდან - 19). ამომრჩეველ ქალთა კლუბისა და მცირე მეწარმეების ჯგუფში 75% ასახელებს ამ ფაქტორს ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელ მიზეზად, სოციალურად დაუცველთა ჯგუფში 30 გამოკითხულიდან - 16. ბარიერი ოჯახის წევრების მხრიდან დაფიქსირდა მხოლოდ 4 შემთხვევაში. მათ შორის 2 - მცირე მეწარმეთა ჯგუფში.

პასუხები მოცემულია ცხრილში (N7)

	ა არ მაქვს სასტარტო კაპიტალი	ბ არ მაქვს ცოდნა იურიდიულ და საგადასახადო საკითხებში	გ არ მაქვს ბიზნესის მართვის სათანადო ცოდნა	დ მაქვს ბარიერი ოჯახის წევრების მხრიდან	ე არ მაქვს პროფესია
იგპ	19	2	7	1	1
სოციალურად დაუცველები	1	10	3	0	16
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	15	1	1	1	2
მეწარმე ქალები	15	0	3	2	0
საერთო რაოდენობა	50	13	14	4	19
სულ	100				

ცხრილი (N7)

7. კითხვა: რომელი ტიპის შრომაა თქვენი შენატანი ოჯახში?

მიღებული პასუხები ცხადყოფს შერეული შრომის საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს. უფრო მეტად ამ პასუხს აფიქსირებენ იგპ-თა ჯგუფი და მცირე მეწარმეები. რეპროდუქტიული შრომის წილს გამოყოფს სოციალურად დაუცველთა ჯგუფის ნახევარზე ოდნავ მეტი. საერთო მონაცემები ასახულია დიაგრამაზე (N8).



დიაგრამა N8

8. კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ არაანაზღაურებადი შრომის (რეპროდუქტიული შრომა - ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების მოვლა, საოჯახო საქმიანობა) წახალისება?

რეპროდუქტიული შრომის კუთხით გაწეული საქმიანობის წახალისება საჭიროდ მიაჩნია გამოკითხულთა 58%-ს), 13%-ის აზრით, ეს არ არის საჭირო. 29% ადამიანს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მიღებული პასუხები აჩვენებს, რომ გამოკითხული ქალების საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს მათი საოჯახო შენატანის მნიშვნელობას. უფრო კატეგორიულია ამ საკითხში სოციალურად დაუცველთა ჯგუფი, დევნილთა ჯგუფის თითქმის ნახევარი (30 გამოკითხულიდან 14).

(პასუხები მოცემულია დიაგრამაში - ქვემოთ (N9).



დიაგრამა N9

9. კითხვა: თქვენი აზრით, რა უფრო შეუწყობს ხელს უმუშევრობის შემცირებას ქალებში?

სავარაუდო პასუხები იყო - ა) დასაქმებისა და უმუშევრების დახმარების საინფორმაციო ცენტრები; ბ) უფრო გამართული სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა (მაგალითად - საბავშვო ბაღები); გ) ტურიზმის განვითარება; დ) მცირე ბიზნესის განვითარების კონკრეტული მუნიციპალური პროგრამების შექმნა; ე) სამუშაო ადგილების შექმნა.

გამოკითხვის პასუხები თვალსაჩინოს ხდის რესპონდენტების იმ პოზიციას, რომ ქალებში უმუშევრობის შემცირება სამუშაო ადგილების შექმნით არის შესაძლებელი. ყველაზე მეტი პასუხი დაფიქსირდა ამ კუთხით (72 გამოკითხული). შედარებით კონკრეტული - ქალთა მცირე ბიზნესის განვითარების მუნიციპალური პროგრამების მნიშვნელობა გამოკითხულთა 7%-მა დააფიქსირა. მხოლოდ 3 გამოკითხული ასახელებს უმუშევრობის შემცირებისათვის სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნის საჭიროებას. ყურადღება იყო გამახვილებული საინფორმაციო საქმიანობის აუცილებლობაზე. „დასაქმებისა და უმუშევრობის საინფორმაციო ცენტრების“ საჭიროებას ხაზი გაუსვა გამოკითხულთა 18%-მა.

პასუხები მოცემულია ცხრილში (N8)

	ა)	ბ)	გ)	დ)	ე)
იგპ	4	0	0	3	23
სოციალურად დაუცველები	6	1	0	0	23
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	6	1	0	2	11
მეწარმე ქალები	2	1	0	2	15
საერთო რაოდენობა	18	3	0	7	72
სულ	100				

ცხრილი N8

10. კითხვა: თუ გაქვთ განათლების გაღრმავების საჭიროება, ჩამოთვლილთაგან რომელია თქვენთვის საჭირო პროგრამა?

გამოკითხულებში მეტი პასუხი დაფიქსირდა პროფესიული გადამზადების კურსების საჭიროების თვალსაზრისით (33%). უფრო გამოკვეთილად - სოციალურად დაუცველთა ჯგუფში). გრძელვადიანი პროფესიული კურსები დასახელდა 29 პასუხში. სპეციალური ტრენინგების აუცილებლობას (საერთო 29%) დაახლოებით ერთნაირად ხედავენ ყველა გამოკითხულ ჯგუფში. კომპიუტერული პროგრამები და უცხო ენის სასწავლო კურსები დასახელდა უფრო მეტად ამომრჩეველ ქალთა კლუბის ჯგუფში. საერთოდ არ იყო დასახელებული სოციალურად დაუცველთა ჯგუფში.

პასუხები კითხვაზე ასახულია დიაგრამაში (10)



დიაგრამა N10

11. კითხვა: თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების ხელშეწყობისათვის?

კითხვარის მე-11 კითხვაში ცალკე გამოიყო შესაძლებელი ღონისძიებები ახალგაზრდების, როგორც გენდერულად მგრძნობიარე ჯგუფის, განათლების მიღების საჭიროებისადმი მხარდაჭერის კუთხით.

სამიზნე ჯგუფებში ყველაზე ხშირად იყო დაფიქსირებული პასუხი: დაუცველი ოჯახების სტუდენტების დაფინანსება ადგილობრივ დონეზე (61 პასუხი). გამოკითხულთა შორის ეს ყველაზე ხშირი იყო იგპ ქალთა ჯგუფში (20 გამოკითხული 30-დან). 100-დან 32 გამოკითხული ახალგაზრდებისათვის განათლებისა და განვითარების ხელშესაწყობად საჭიროდ მიიჩნევს წარმატებული სტუდენტებისათვის ადგილობრივ მხარდაჭერას. ყველაზე ხშირად ეს პასუხები დაფიქსირდა სოციალურად დაუცველთა ჯგუფში.

მიღებული მონაცემები დიაგრამაზე - ქვემოთ



დიაგრამა N11

12. კითხვა: როგორ შეაფასებთ ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულებას განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სოციალური ჯგუფების დახმარების კუთხით?

კითხვარის მე-12 კითხვა ასახავს განსაკუთრებული გენდერული საჭიროებების მქონე ჯგუფების შეფასებას სახელმწიფო სტრუქტურების, საზოგადოების ჯგუფებისა და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის საკითხისადმი მათი საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხში. გამოკითხული სამიზნე ჯგუფების პასუხები უჩვენებს, რომ ისინი მეტწილად ნაკლებად დამაკმაყოფილებლად აფასებენ ადგილობრივ მულტიდისციპლინარულ თანამშრომლობას სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მხარდაჭერის საკითხისადმი (51%). არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს დასახელებულ თანამშრომლობას გამოკითხულთა 15%. საერთო მონაცემები - დიაგრამაში (12).



დიაგრამა N12

13. კითხვა: ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილების, მასთან ბრძოლის მიზნით, თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი სტრუქტურები უნდა იყვნენ აქტიურად ჩართულნი? ასარჩევი პასუხები იყო - ა) სოციალური სამსახურები; ბ) ძალოვანი სტრუქტურები (პოლიცია); გ) სასწავლო დაწესებულებები; დ) ჯანდაცვის სტრუქტურა; ე) არასამთავრობო ორგანიზაციები; ვ) ადგილობრივი ხელისუფლება; ზ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

სამიზნე ჯგუფებისგან მიღებული პასუხები წარმოდგენილია ცხრილში და ასახავს მათ დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხისადმი.

ცხრილი N9

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
იგპ	3	1	4	0	0	7	15
სოციალურად დაუცველები	4	7	0	0	2	8	9
ამომრჩეველ ქალთა კლუბი	5	4	0	1	0	1	9
მეწარმე ქალები	2	4	0	1	2	2	9
საერთო	14	16	4	2	4	18	42
სულ	100						

მიღებულმა პასუხებმა აჩვენა, რომ რესპონდენტები, რომლებიც წარმოადგენენ სოციალურად ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე ფენას, მნიშვნელოვან დატვირთვას ანიჭებენ ოჯახში ძალადობის პრობლემის მოგვარებაში ყველა დასახელებული სტრუქტურის კოორდინირებულ ჩართვას (საერთო გამოკითხულთა 42%). ყველაზე ხშირად ეს პასუხი დააფიქსირეს იგპ ქალთა ჯგუფში (მათი 60%). პასუხი „ძალოვანი სტრუქტურები“ აირჩია კვლევის მონაწილეთა 16%-მა.

არასამთავრობოების ფუნქციას მნიშვნელოვნად მიიჩნევს გამოკითხულთა 12,5%.

გამოკითხულთა ნაწილი ხედავს სოციალური სამსახურების, ადგილობრივი თვითმმართველობის როლს ძალადობისაგან დაცვის კუთხით (შესაბამისად - 16% და 18%). ცალკე არასამთავრობო სექტორის როლს გამოკითხულთა მცირე ნაწილი (4%) აღნიშნავს.

<u>დასკვნა</u>: **ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის - *„სენაკის ადგილობრივი გენდერული ჯგუფების საჭიროებების შეფასება“* - ფარგლებში ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის საველე სამუშაოების შედეგებმა, რომლის ანგარიშიც წარმოდგენილია ზემოთ, დაასაბუთა კვლევის თავდაპირველი თეორიის სისწორე: სენაკის სინამდვილეში წარმოდგენილია სხვადასხვა გენდერული ჯგუფი, რომელთაც გააჩნიათ განსაკუთრებული საჭიროებები და მათი გათვალისწინება ადგილობრივ პოლიტიკასა და პროგრამებში დიდწილად შეუწყობს ხელს ამ ჯგუფების სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებას. კვლევამ გამოკვეთა საკითხები, რომელთა გათვალისწინება რესპონდენტებს მიაჩნიათ ყველაზე საჭიროდ მათი განვითარების ხელშეწყობისათვის.**

<u>ნაწილი II</u>

კვლევის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით ჩატარებული თვისობრივი კვლევის ანგარიში.

თვისობრივი კვლევის ანგარიში

თვისობრივი კვლევა ჩატარდა ფოკუს ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით

კვლევის მეთოდი	**თვისობრივი კვლევა**
კვლევის ტექნიკა	ფოკუსირებული ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ
სამიზნე სეგმენტი	1. ჯგუფები, რომელთა საჭიროებებიც გამოიკვლია 2. ჯგუფები, რომელთაც გააჩნიათ ინფორმაცია საკვლევ ჯგუფებზე 3. ექსპერტები
კვლევის არეალი	სენაკი
შერჩევის ზომა	სულ გამოიკითხა 29 პირი (3 ჩაღრმავებულ ინტერვიუში, 26 ფოკუს-ჯგუფებში)
შერჩევის მეთოდი	წინასწარი /მიზნობრივი შერჩევა
შერჩევის ცთომილება	1%
ინტერვიუს საშუალო ხანგრძლივობა	ფოკუს ჯგუფი - 1,5 – 2,5 საათი ჩაღრმავებული ინტერვიუ - 1 – 1,5 საათი
კვლევის საველე სამუშაოების ჩატარების ვადები	აპრილი, 2014 წელი

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოკვლეული იქნა დარგის ექსპერტების (განათლების საკითხებში, თვითმმართველობის საკითხებში, სოციალურ დაცვასა და ჯანდაცვაში, ეკონომიკის საკითხებში) შეხედულებები ადგილობრივი გენდერული საჭიროებებისა და თვითმმართველობის გენდერული პოლიტიკის თაობაზე. მიღებული თეორიები მთლიანობაში დაემთხვა ფოკუს-ჯგუფების ჩატარებით მიღებულ შედეგებს. ფოკუს-ჯგუფებში იმუშავეს ჯგუფებმა, რომლებიც ფლობენ გარკვეულ ინფორმაციას ადგილობრივი გენდერული ჯგუფების შესახებ (სენაკის მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო სექტორის, ინტელიგენციის წარმომადგენლები), ან თავად წარმოადგენდნენ ამ ჯგუფებს (ახალგაზრდების შემთხვევაში). თვისობრივი ინფორმაციის შეგროვებით მოხდა

ბენეფიციართა გენდერული საჭიროებების გამოვლენა და შესაძლებელი გახდა რიგი დასკვნების გაკეთება. გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც ადგილობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

კითხვამ, რომელიც არკვევდა ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა **ინფორმირებულობას ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის პროგრამების შესახებ,** გამოავლინა სხვადასხვა დონე. ახალგაზრდების ჯგუფის უმეტეს ნაწილში გამოიკვეთა ინფორმირებულობის მაღალი ხარისხი ადგილობრივ პროგრამებთან მიმართებაში, თუმცა ითქვა, რომ ამ ინფორმაციაზე ყველას არ მიუწვდება ხელი. ინფორმაციის წყაროდ დასახელდა საკრებულოს საინფორმაციო დაფა, საჯარო ინფორმაციის ოფიციალური გამოთხოვა, პირადი კონტაქტები საკრებულოს, გამგეობის თანამშრომლებთან. ითქვა, რომ კარგი იქნებოდა ბიუჯეტის უფრო თვალსაჩინოობა. *„ბიუჯეტი შეიძლება, მთლიანად არ გამოქვეყნდეს, მაგრამ ის ნაწილი, რომელიც ეხება უშუალოდ სოციალური ხარჯებს, ინფრასტრუქტურას, ადგილობრივი მედიასაშუალებებიდან ცნობილი უნდა იყოს“.*

დასმული იქნა კითხვა - რომელი სამოქალაქო ჯგუფების საჭიროებები უნდა იქნეს უფრო მეტად გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას და რა კუთხით?

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა ნაწილს აუცილებლად მიაჩნია სოფლად მცხოვრებთათვის ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. *„ეს სოფლად მცხოვრებთა, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის იქნება სტიმული, არ იფიქრონ სოფლიდან გაქცევაზე“.*

გამოყვეს დიალიზის პროგრამაზე მყოფი პაციენტების გასაჭირი, რომელთაც ტრანსპორტირება სჭირდებათ და დააყენეს ამ პროცედურის სენაკში უზრუნველყოფის საჭიროება.

სხვა მოსაზრებით, კარგი იქნებოდა ომის მონაწილეთა დახმარების პროგრამები. ასევე - მრავალშვილიანი დედების ხელშეწყობის პროგრამები.

ერთ-ერთმა მონაწილემ დააყენა საბავშვო ბაღებში თანამედროვე მეთოდური პროგრამებით სწავლების დანერგვის საკითხი. როგორც მათთვის ცნობილია, განათლების სამინისტროს ამ კუთხით აქვს გარკვეული პროგრამები. კარგი იქნებოდა, თვითმმართველობას მეტი ემუშავა ამ კუთხით, შეევსო ის ვაკუუმი, რომელიც საბავშვო ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით მაინც რჩება, მიუხედავად სამინისტროს ძალისხმევისა.

ახალგაზრდების ნაწილი თვლიდა, რომ სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მათთვის სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამის მომზადებას და მხარდაჭერას. ასევე, სოფლის განვითარების პროგრამის საკითხში საზოგადოების მეტი ჩართულობის მნიშვნელობა იქნა ხაზგასმული.

„კარგი იქნებოდა სოფლის მოსახლეობის აზრის გათვალისწინება პროგრამების შედგენის დროს და პრიორიტეტების განსაზღვრა შესაბამისი კვლევებით“.

ითქვა, რომ, ტრადიციულად, უბრალო ადამიანები სოციალური პროექტების მხარდაჭერას ითხოვენ, მაგრამ ამის გარდა ბიუჯეტი ორიენტირებული უნდა იყოს უფრო გრძელვადიან პროგრამებზე. ამის გარეშე ძნელი იქნება იმ ჯგუფების განვითარება, რომლებიც დღეს მთლიანად დამოკიდებული არიან სახელმწიფო მხარდაჭერაზე.

დანახული იქნა დედათა და ბავშვთა მეტი დაცვის აუცილებლობის საკითხი. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ორსულთა და მუცლად ყოფნის პერიოდის დაცვა. რესპონდენტების აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობის მზრუნველობას უნდა გრძნობდნენ მარტოხელა და მარჩენალდაკარგულ ქალბატონები, მარტოხელა ხანდაზმულები.

სხვადასხვა ჯგუფის სპეციფიკური გენდერული საჭიროებები დაინახეს ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტებმა. *„სენაკი პატარა ქალაქია და პრობლემების მთელ სპექტრს ამჩნევს ადამიანი. რაიონის მასშტაბით ისევ დგას წყლის, გაზიფიცირების პრობლემა, რაც ქალთა საჭიროებებიდან გამომდინარეა და გენდერული ხასიათი აქვს.“*

ითქვა, რომ ბიუჯეტის შედგენისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული დევნილთა საკითხი. ზოგი მათგანი ჯერაც აუტანელ პირობებში ცხოვრობს, მაგალითად - სანატორიუმი „კოლხიდა“. იქ მცხოვრებ მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები არ გააჩნიათ. იგივე პრობლემა გამოიკვეთა დევნილ ქალთა ჯგუფების გამოკითხვის შედეგად, როდესაც მათმა უდიდესმა უმრავლესობამ პირველად სასიცოცხლო საჭიროებად საბინაო პირობების გაუმჯობესება დააყენა.

ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემად დასახელდა საბავშვო ბაღი, რომელიც ზოგჯერ სოფლიდან შორსაა და ახალგაზრდა დედებისთვის დიდ მანძილზე ბავშვების ტარება პრობლემას წარმოადგენს.

წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალა სამინისტროს მიერ საჯარო სკოლის მოსწავლეების მგზავრობის დაფინანსება. *„ამით იზოგება დრო, ენერგია, მოსწავლეები ამ სიკეთით აქტიურად სარგებლობენ“.*

ითქვა, რომ ზოგჯერ ძალიან რთულია ბიუჯეტის შედგენისას სოციალური პრიორიტეტების განსაზღვრა, რადგან ბიუჯეტი მისი სიმცირის გამო ვერ გაწვდება ყველა სოციალურ საჭიროებას და არც არის კანონით განსაზღვრული. თუმცა, ზოგჯერ ხდება იმის გათვალისწინება, რომ *„აქ მცხოვრები ადამიანების უმრავლესობა სოციალურად დაუცველია. მათი შემოსავლის უმთავრესი წყარო სახელმწიფო სოციალური დახმარებაა, მოხუცებისათვის კი პენსია“,* ამიტომ ის ხარჯები, რაც ჩადებულია სოციალური დაცვისთვის, მაქსიმალურად სამართლიანად და მიზანმიმართულად უნდა იქნეს განაწილებული, რისთვისაც საჭიროა მოქალაქეთა საჭიროებების გამოკვლევა.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ცენტრალურ ბიუჯეტში მოხდა სოციალური ხარჯების ზრდა, რამაც მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებული ფენის მდგომარეობა ცოტათი შეამსუბუქა, მაგრამ სოციალური ხარჯებისგან „განტვირთვას“ ადგილობრივი ბიუჯეტი მაინც ვერ ახერხებს. *„ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია დახმარება მრავალშვილიან დედებზე, სოციალურად დაუცველ მოხუცებზე, ობლად დარჩენილ ბავშვებზე და უნარშეზღუდულებზე კვარტალურად თუ წლიურად“. „მართალია, სოციალური ტიპის ხარჯები არ არის საკმარისი, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ბიუჯეტის შესაძლებლობები“.* ისინი მიიჩნევენ, რომ შეძლებისდაგვარად არის მცდელობა, რომ *„ფართო სპექტრით იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფი და მათი საჭიროებებიც გარკვეული დოზით არის გათვალისწინებული თითოეულ პროგრამაში“.*

რომელი სფეროს დაფინანსება იქნებოდა უფრო მეტად მორგებული გენდერული ჯგუფების საჭიროებებზე? რა სახის პროგრამები დაეხმარებოდა მათ განვითარებაში?

ითქვა, რომ სოციალური პრობლემა მრავლადაა, ამიტომ მნიშვნელოვანია პრიორიტეტების განსაზღვრა. მნიშვნელოვან საკითხად იქნა მოაზრებული სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება - კერძოდ, საბავშვო ბაღების გამართული მუშაობა დედებს გამოუთავისუფლებდა დროს და დაეხმარებოდა, თავისუფალი დრო პირადი და პროფესიული რეალიზებისათვის გამოეყენებინათ.

ყურადღების ცენტრში მოხვდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ინფრასტრუქტურული პროექტებით უზრუნველყოფის საკითხი.

თვითმმართველობის ზრუნვის საგნად იქნა მიჩნეული საპატიმროდან გამოსული ადამიანების რესოციალიზაციის ხელშეწყობა.

რესპონდენტების დიდმა ნაწილმა საჭიროდ ჩათვალა საგანმანათლებლო კურსების შექმნა, მაგრამ იქვე გაუსვა ხაზი ამ ადამიანების დასაქმების აუცილებლობას. მცირე მეწარმეებისათვის გრძელვადიანი სესხების მიცემა ბევრი პრობლემის მოგვარების წინაპირობად იქნა მიჩნეული.

გამოკითხვებმა დაადასტურა ამ პოზიციის სისწორე. სასტარტო კაპიტალის არქონა, როგორც შემაფერხებელი გარემოება მათი ეკონომიკური განვითარებისათვის, დაასახელა გამოკითხულ მცირე მეწარმე ქალთა ჯგუფმა.

რესპონდენტთა ნაწილმა მიიჩნია, რომ საჭიროა მოხდეს მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და ამისათვის ადგილობრივი პროგრამები მომზადდეს. *„ზედგამოჭრილი იქნებოდა სოფლის*

მეურნეობის დარგის განვითარების პროგრამები. სენაკში არის აგრარული მიმართულების კოლეჯი და კარგი იქნება კოლეჯის კურსდამთავრებულების დასაქმება აგრარულ სექტორში, რათა სხვა ახალგაზრდებსაც მიეცეთ იმედი, რომ დასაქმდებიან თავიანთი სპეციალობის მიხედვით". „პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებას, ოღონდ სპორტსა და გართობაზე უფრო მეტად - შემეცნებით ღონისძიებებს".

ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, *„დახმარება უნდა გაეწიოს არა მარტო სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს, არამედ ზოგადად უნდა მოხდეს ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა-წახალისება სტიპენდიებითა თუ მათთვის გარკვეული გადასახადების ანაზღაურებით უმაღლეს სასწავლებლებში, არ უნდა იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ სოციალურ მდგომარეობაზე, ამიტომ აუცილებელია მათი დასაქმება და ამ მხრივ ხელშეწყობა".*

დისკუსიებში მნიშვნელობა მიენიჭა სანიტარული განათლების ხელშეწყობას, საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსებას, მოსახლეობაში სანიტარული ნორმების, ეკოლოგიური კულტურის, საშიში დაავადებების თავიდან აცილების, მავნე ჩვევებთან ბრძოლის წესების პოპულარიზაციას.

თვისობრივ კვლევაში გამოიკვეთა რესპონდენტთა პოზიციები იმასთან დაკავშირებით, ადგილობრივ პოლიტიკაში რა ღონისძიებები უნდა დაისახოს სოციალური მდგომარეობის გამოსწორებისათვის (მაგალითად - უმუშევრობის შემცირება) გრძელვადიან პერსპექტივაში?

ითქვა, რომ ბიუჯეტის ფორმირებისას და შესრულებისას გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლა დღემდე არ ყოფილა. ანუ - შესაბამისი პოლიტიკა და პრაქტიკა ამ კუთხით არ არსებობს. *„ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები, უმთავრესად, სოციალური ხასიათისაა. მონოტონურად, წლიდან წლამდე ერთი და იმავე მიმართულების დაფინანსება, ანუ არავინ ცდილობს ახალი, საინტერესო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას".*

ამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ საჭიროა მუნიციპალიტეტების მიხედვით პრიორიტეტების გამოყოფა და ამის გათვალისწინებით მცირე საწარმოების გახსნა. *„უნდა მოხდეს ადგილობრივი რესურსების სწორად გამოყენება, მანუფაქტურული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წახალისება, დაბალპროცენტიანი სესხების გაცემა".*

„აუცილებელია კარგი საინვესტიციო გარემოს შექმნა და ბანკების დაინტერესება მცირე ბიზნესის განვითარებით". „სენაკში არის პრეცედენტი - მაგალითად, თხილის ქარხანა. მსგავსი საწარმოები შეამცირებს მიგრაციას და მუშახელის გადინებას."

მცირე ბიზნესში ქალთა ჩართვა, გარდა არსებული სოციალური მდგომარეობის გამოწორების საშუალებისა, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მათი ჩართვის ბერკეტად მიიჩნია ერთ-ერთმა მონაწილემ. გამოითქვა რწმენა, რომ ქალთა უმრავლესობისათვის საზოგადოებაში ყოფნა მნიშვნელოვანია და საჭიროდ ჩათვალეს სამართლიანი და გამჭვირვალე კონკურსების ჩატარება.

გამოიკვეთა პოზიციები, რომ ბიუჯეტში აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სხვადასხვა სოციალური ფენის საჭიროებები, მაგრამ ერთჯერადად გაწეული დახმარებები ვერანაირად ვერ შეცვლის არსებულ მძიმე მდგომარეობას. *„ადამიანებისათვის მთავარი მომავლის პერსპექტივაა, ხვალინდელი დღის რწმენა, რომელსაც საკუთარი შრომით, ოფლით, რუდუნებით მოიპოვებენ და არა ვიღაცის მიერ სამადლოდ გამეტებული დახმარება, სოციალური დახმარებები დღევანდელი რეალობაა, ის აუცილებლად უნდა გაიზარდოს და გაფართოვდეს". (ნ.გ)*

დისკუსიის მონაწილეები შეეხნენ კანონს თვითმმართველობის შესახებ, რომელიც მოქალაქეებს გარკვეული ტიპის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების საშუალებას მისცემს.

რესპონდენტების პოზიციით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, ახორციელებენ ღონისძიებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. ეს პირდაპირ აღნიშნულია „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონში და ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას შესაბამისი ორგანოები ვალდებულნი არიან, გაითვალისწინონ ქალებისა და კაცების პრობლემების თანაბარ დონეზე დაყენება.

„უმუშევრობა, მოგეხსენებათ, როგორც ქალების, ასევე მამაკაცების პრობლემაა. სენაკის მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი რესურსები (თერმული წყლები, ნიადაგი და სხვა) იძლევა საშუალებას, ჰქონდეს როგორც ტურისტული, კურორტის და ასევე სამრეწველო ქალაქად აღორძინების პოტენციალი. ეს კი ინვესტიციების მოზიდვით გახდება შესაძლებელი. დასაქმების ხელშეწყობა არის თვითმმართველობის კომპენტენციაც და სწორედ ამ მიმართულებით უნდა დაიგეგმოს ღონისძიებები".

შემდეგი შეკითხვა ეხებოდა რესპონდენტთა პოზიციას - **რომელია ყველაზე სასიცოცხლო საჭიროება გამოსაკვლევი ჯგუფების მდგრადი განვითარებისათვის? რომელი კონკრეტული ღონისძიება დაეხმარებათ მის გადაჭრაში?**

პირველ რიგში, გამოიკვეთა რესპონდენტთა შეხედულებები ქალთა ჯგუფების საჭიროებებთან დაკავშირებით. ქალთა განვითარების შემაფერხებელ გარემოებად ჩაითვალა ადრეული ქორწინება, რის შედეგად ქალთა სოციალური აქტივობა ფერხდება.

ქალის ეკონომიკური დამოუკიდებლობა - როგორც სტიმული განვითარებისათვის - რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა დაასახელა. ითქვა, რომ ქალთა გარკვეულ კონტინგენტს სჭირდება საბაზისო განათლების მიღება სხვადასხვა საქმიანობაში:

„ვფიქრობ, სასწავლო დაწესებულებებში ამჟამად პრაქტიკულად არ ხორციელდება რეპროდუქციული ჯანმრთელობის სასიცოცხლო ჩვევების სწავლება და არ არის ასაკის შესაფერისი ზუსტი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. უნდა ჩატარდეს ლექციები, შეხვედრები და დისკუსიები ახალგაზრდებს შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, ალკოჰოლის, ნარკოტიკისა და ნიკოტინის მავნებლობაზე. აუცილებელია უფრო მეტი მასობრივი კულტურული და სპორტული ღონისძიების დაგეგმვა, სკოლების, უბნების და ქუჩების ჩემპიონატების ჩატარება, სადაც ჩართული იქნება სხვადასხვა გენდერული ჯგუფი".

აუცილებლად იქნა მიჩნეული ადგილობრივი რესურსების შესწავლა და მათი გამოყენება. „მაგალითად, ჩვენს მუნიციპალიტეტში შედის კურორტი მენჯი, რომელიც ერთ დროს საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტი იყო. დღეს კი უმოქმედოა. საჭიროა ქმედითი ღონისძიებები მის ასაღორძინებლად, რითაც, პირველ რიგში, ადგილობრივი ხელისუფლება უნდა იქნეს დაინტერესებული. კურორტის აღორძინება ადგილობრივ რესურსებსაც გაზრდიდა შემოსავლის სახით და სამუშაო ადგილებსაც შექმნიდა".

დაისვა კითხვა - რომელია ამ ჯგუფების ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელი მიზეზი და კონკრეტულად რა დახმარება სჭირდებათ?

მონაწილეთა აზრით, სამწუხაროდ, ბოლო 20-25 წლის განმავლობაში თითქმის ყველა ადგილობრივი ოჯახის შემოსავლის წყაროს, ფაქტობრივად, წარმოადგენდა შინამეურნეობა, სამეწარმეო საქმიანობა, ამან კი გამოიწვია ის, რომ არ მოხდა პროფესიული გადამზადება იმ სოციალური ჯგუფებისა, რომელსაც ჩვენ გენდერულს ვუწოდებთ. *„აქედან გამომდინარე, სანამ ჩვენ გადავიდოდეთ წარმოებაზე, უნდა მოხდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შესწავლა, ცალკეული სახის პროდუქტების წარმოების კუთხით და, ამ პროდუქტების წარმოებიდან გამომდინარე, ქალებისა და ახალგაზრდების სწავლება-გადამზადება, ამის შემდეგ კი შესაძლებელია ჩაერთოს მუნიციპალიტეტი.“* „თვითმმართველობის კანონიდან გამომდინარე, მათ სულ მალე უფლება ექნებათ, თავად გახსნან ცალკეული ტიპის საწარმოები, გახდნენ ამ საქმიანობის სუბიექტები და ამავე დროს, მოიწვიონ დონორი ორგანიზაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ თუნდაც ქალთა ჯგუფების დასაქმებას მცირე ტიპის საწარმოებში“.

კითხვის - თქვენი აზრით, როგორ და ვის მიერ უნდა წახალისდეს ადგილობრივ დონეზე არაანაზღაურებად სექტორში გაწეული შრომა? პასუხად გამოითქვა მოსაზრება, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს ასეთი ტიპის დახმარებას. ამით უნდა დაინტერესდეს არასამთავრობო სექტორიც. „აუცილებელია ოჯახში რეპროდუქტიული შრომის პოპულარიზაცია და დაფასება. რაც შეიძლება სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები უნდა დაინტერესდნენ მათი დახმარების სურვილით.“ „უნდა იქნეს აღიარებული, რომ ამ ტიპის შრომაზეც მოდის ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. პირველ რიგში, ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა ზრუნავდეს ამ ტიპის ადამიანებზე“. კარგი იქნება, თუ შეიქმნება სააგენტო, იარსებებს გარკვეული ფონდი. „ამ კუთხით ჩვენ არ უნდა გამოვყოთ ერთი რომელიმე მხარე. მარტო სახელმწიფო ვერ აიღებს პასუხისმგებლობას ამ პოლიტიკაზე. საზღვარგარეთ არის ფონდები. სახელმწიფომ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, დონორმა ორგანიზაციებმა ერთობლივად უნდა ეძებონ გზები და საშუალებები ამ კატეგორიის ადამიანების დახმარების პროგრამების განხორციელებისათვის.“

განსაკუთრებული დატვირთვა მიენიჭა ქალთა ორგანიზაციების დაინტერესების მნიშვნელობას ამ საკითხით.

განსხვავებით თვისობრივი კვლევისგან, ქალთა ჯგუფებში ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ბევრ მათგანს არა აქვს გააზრებული რეპროდუქტიული შრომის მნიშვნელობა და მისი წახალისებაც ძნელად წარმოუდგენია.

ექსპერტებისთვის დასმული იყო კითხვა: **როგორ შეფასებას მისცემდით ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულებას ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილების კუთხით? რა უნდა გაკეთდეს მისი გაუმჯობესებისათვის? განსაკუთრებით - გენდერული კუთხით.**

მათ დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია, რომ საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მჭიდროდ თანამშრომლობენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს საზოგადოებისათვის საჭირბოროტო საკითხებს და, უმეტეს შემთხვევაში, ახერხებს კიდეც ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილებას იმ დოზით, რამდენადაც ეს შესაძლებელია მისი ბიუჯეტიდან გამოდინარე. *„თქვენი ორგანიზაციის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რამდენად აუცილებელია არასამთავრო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობა, როცა საუბარი საზოგადოებისათვის საკმაოდ აქტუალურ თემებს ეხება“.*

„რეგულარულად დავდიოდი ფონდი "სოხუმის" სხვადასხვა ღონისძიებაზე. იყო შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების, სხვადასხვა ფრაქციის, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. დავრწმუნდი, რომ არც ერთი ორგანიზაცია არაა გულგრილი პრობლემების მიმართ, განსაკუთრებით ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაზეც მძაფრი, საინტერესო დიალოგები იმართებოდა. ხშირი ურთიერთობები, ობიექტურად, შეულამაზებლად სათქმელის გამოხატვა, აზრების გაცვლა ნებისმიერ პრობლემას დაძლევს. „რა ჩემი საქმეა", „ეს მე არ მეხებას" პოზიცია ყოველთვის წამგებიანია, დამღუპველი და არასაიმედოა საზოგადოებისათვის".

რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს, რომ მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის, საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილების კუთხით ერთობლივი პროგრამების განხორციელება. მათი თქმით, ასეთი თანამშრომლობის არაერთი მაგალითია სენაკის სინამდვილეში, სოფლებში განხორციელდა მრავალი პროექტი, რომელიც სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე იყო გათვლილი.

დაისვა კითხვა: „თქვენი აზრით, რამდენად არის დაცული ქალი გენდერული ნიშნით ოჯახში ძალადობისაგან და როგორ უნდა აიგოს სექტორებს შორის თანამშრომლობა ძალადობის პროფილაქტიკისა და მისი შედეგების თავიდან აცილებისათვის?"

რესპონდენტების პოზიციით, ძალადობის პრობლემის პრევენციაში აუცილებელია ყველა რგოლის ჩართვა. საჭიროა სახელისუფლებო დონეზე გადაწყვეტილების მიღება პრობლემის მოგვარების კუთხით. ძალადობა არ უნდა დარჩეს ერთი ადამიანის, ერთი ოჯახის პრობლემად. ეს მთელი საზოგადოების სატკივარი უნდა გახდეს.

„ამ კუთხით მნიშვნელოვანია თანამშრომლობა სოციალურ სამსახურს, პოლიციასა და თვითმმართველობას შორის. თვითმმართველობამ აუცილებლად უნდა ჩართოს სოფლის რწმუნებულების ინსტიტუტი და ასევე შექმნას სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც შესაძლებელი იქნება ძალადობის მსხვერპლთათვის ფსიქოლოგიური და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა".

რესპონდენტები ერთხმად აღნიშნავდნენ საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობის აუცილებლობას. *„გარდა ამისა, პრევენციის მიზნით სკოლებში მიზანშეწონილია, ჩატარდეს საგანმანათლებლო კამპანია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ. ახალგაზრდა თაობა უნდა იცნობდეს თავის უფლებებს, რათა უკეთ შეეძლოს საკუთარი პასუხისმგებლობისა და როლის განსაზღვრა ოჯახსა და საზოგადოებაში".*

ითქვა, რომ ძალადობა, კონკრეტულად ოჯახში ძალადობა, ფაქიზი თემაა, ჩვენი მენტალიტეტისათვის ტაბუდადებული და სტერეოტიპად ქცეული. ძალადობა ყველა ფენაშია, ყველა მიმართულებით, თუმცა ოჯახური ყველაზე გვიან ხდება ფარდაახდილი, როცა გაუცხოება ოჯახის წევრებს შორის პიკს აღწევს. *„ვფიქრობ, ძალიან კარგ საქმეს აკეთებს ფონდი „სოხუმი": რაიონის სინამდვილეში ბევრ ქალს აეხილა თვალი, პროპაგანდამ, ფსიქოლოგიურმა საუბრებმა, სემინარებმა მიახვედრა ისინი, რომ მარტო არ არიან. საუკეთესო შედეგს მივაღწევთ, თუ კვლავაც გაგრძელდება საუბრები, დიალოგები, დისკუსიები ანალოგიურ თემებზე. მაშინ არც ერთი ძალადობის მსხვერპლი ქალი არ დამალავს, რომ ის წნეხის, აგრესიის ქვეშაა, პირიქით, მოძალადეს წინააღმდეგობას გაუწევს და სხვასაც მოუწოდებს, ხმა აიმაღლოს საკუთარი უფლებების დასაცავად. სხვა რომ არაფერი - ამით საკუთარი შვილის მომავალს გაუფრთხილდება".*

მათი აზრით, განსაკუთრებული როლი ამ კუთხით ენიჭება მედიას. *„უნდა წარიმართოს სხვადასხვა ღონისძიება, შემეცნებითი თუ პროფილაქტიკური. აქედან გამომდინარე, ჩემი*

აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს საკომუნიკაციო საშუალებებს. ნებისმიერმა ადამიანმა უნდა იცოდეს მისი უფლებები, ამიტომ სასურველია ტელევიზიამ და სხვა საინფორმაციო საშუალებებმა მეტი დრო დაუთმონ ამ პრობლემის გაშუქებას".

რესპონდენტების აზრით, ამავე დროს, უნდა გატარდეს სხვადასხვა სახის პროფილაქტიკური ღონისძიება, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ქართული მენტალიტეტი, როცა არ გვინდა ძალოვანი სტრუქტურები ან ადმინისტრაციული სამსახურები ჩაერთონ ჩვენი ოჯახის პრობლემების მოგვარებაში. ქართული რეალობიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში ახლობლების რჩევების გათვალისწინებით ხდება ოჯახში კონფლიქტის მოგვარება. სასურველია არსებობდეს ცენტრი, სადაც ნებისმიერი მოქალაქე მიიღებს რჩევასა თუ დახმარებას და იქნება შესაბამისი ორგანიზაციის წარმომადგენლობა, რომელიც დაიცავს მათ უფლებებს და იქნება მათი ინტერესების დამცველი სხვადასხვა სტრუქტურაში.

ექსპერტებს დაუსვეს შეკითხვა: **თქვენი აზრით, რამდენად არის საკმარისი სოციალურად საშიში დავაადებების (ტუბერკულოზი, ჰეპატიტი, აივ/შიდსი, სქესობრივი გზით გადამდები და ა.შ) პროფილაქტიკის არსებული ადგილობრივი ღონისძიებები? გარდა არსებულისა, რა შესაბამისი ღონისძიებების გათვალისწინება შეიძლება?**

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ამ ტიპის დაავადებების გამოვლენა და პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. თუმცა ბევრ ადგილობრივ პროგრამაშიც არის და უნდა იყოს ასახული სხვადასხვა ღონისძიება მათი პროფილაქტიკისათვის. ითქვა, რომ აღნიშნული მიმართულებით სამუშაოს სენაკის მუნიციპალიტეტში არსებული შესაბამისი სამსახურები ახორციელებენ.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ტარდება სხვადასხვა აქცია სოციალურად საშიში დაავადებების წინააღმდეგ. მაგრამ მიიჩნევენ, რომ საჭიროა ამ მიმართულებით უფრო მეტი შემეცნებითი ხასიათის საქმიანობის წარმართვა. *„საზოგადოებაში უნდა დამკვიდრდეს, რომ ჩვენ ტოლერანტულები უნდა ვიყოთ ზემოთ აღნიშნული დაავადებების მატარებელი ადამიანების მიმართ, რადგანაც არც ერთი ჩვენგანი არ არის დაზღვეული მსგავსი შემთხვევებისაგან".*

„პირდაპირ გეტყვით, არ არის საკმარისი გადამდები დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით არსებული ადგილობრივი ღონისძიებები, ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასათვალისწინებელი. კერძოდ, უნდა იქნეს განხორციელებული სტომატოლოგიური კაბინეტების, სილამაზის სალონების, სწრაფი კვების ობიექტების მონიტორინგი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ეს არის სწორედ ის ობიექტები, საიდანაც შეიძლება ჰეპატიტით დასენიანება". მონაწილეთა აზრით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა იქნეს დაფინანსებული ასევე ექსკლუზიური პროგრამები, რომელიც მისცემს საშუალებას „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს", გავიდეს სოფლებში და ტუბერკულოზის ახალი კერის გაჩენა-აღმოჩენის შემთხვევაში გაატაროს პროფილაქტიკური ღონისძიებები. *„იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი ცენტრის მიერ წარმოდგენილი პროგრამები მიიღებენ დაფინანსებას თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში".*

საუბარი შეეხო ახალგაზრდებში ჯანსაღი ფასეულობების დამკვიდრების საკითხს. *„ჩვენ ბავშვობის ასაკიდანვე უნდა მივიღოთ პრევენციული ზომები, კლასიდან კლასში, ასაკიდან ასაკამდე ჩავატაროთ ღონისძიებები, დისკუსიები, დებატები, ტრენინგ-სემინარები, მოვიწვიოთ მედიცინის მუშაკები, ფსიქოლოგები, ადამიანები, რომლებსაც სურვილი გაუჩნდება საკუთარი გამოცდილებით ახალ თაობას უჩვენოს სწორი გზა და მიმართულება, რომ არ დარჩეთ სხვა არჩევანი, გარდა ჯანსაღი ცხოვრების წესისა".* მონაწილეთა აღნიშვნით,

ამ მხრივ, სკოლები ატარებენ საინტერესო ღონისძიებებს და კარგი იქნება, თუ მათ ერთჯერადი სახე არ ექნება.

მომდევნო კითხვა შეეხო საკითხს, **რა წინაპირობები უნდა იქნას შექმნილი ქალებისათვის (და სხვა სოციალური ჯგუფებისათვის) ადგილობრივ მმართველობაში თანაბარი მონაწილეობისათვის?**

გამოიკვეთა პოზიცია – თუ ქალის სურვილია იყოს აქტიური, ჰქონდეს ლიდერის სტატუსი, აქვს ამბიციები, ის უცილოდ მიაღწევს ამას. *„ძველი სტერეოტიპები ნელ-ნელა იმსხვრევა, თუმცა პირადი გამოცდილებიდან და დაკვირვებიდან გამომდინარე, ქალთა უმრავლესობა მშვიდ, სტაბილურ, წყნარ სამუშაო გარემოს ირჩევს და არა მუდმივი ოპონირების, წინააღმდეგობის, პრობლემებთან ჭიდილის გზას. ადგილობრივ მმართველობაში ჩართულობა დიდ ენერგიას, ოჯახის მხარდაჭერას, ინტელექტს, განათლების დონეს გულისხმობს. ლიდერი ქალები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან ჩვენს გვერდით“.* ითქვა, რომ საჭიროა მათი გამოვლენა, გამოყენება. ქალების დარწმუნება იმაში, რომ მათ თუ მოინდომეს, საზოგადოების ცხოვრების სასიკეთოდ შეცვლა შეუძლიათ.

რესპონდენტთა უმეტესობა ქალებისათვის და სხვა სოციალური ჯგუფებისათვის ვერანაირ დაბრკოლებას ვერ ხედავს ადგილობრივ მმართველობაში მათი თანაბარი მონაწილეობისათვის, მთავარია მონდომება, სურვილი და შესაბამისი განათლება. გამოითქვა აზრი, რომ დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შედეგად მიღებული ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე, რომელიც ძალაში შევა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან, უნდა განხორციელდეს გენდერული თანასწორობის დაბალანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, კერძოდ, როგორც საკრებულოს წევრთა შორის, ასევე გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებში.

„ჩვენს მუნიციპალიტეტში და საერთოდ საქართველოში ქალებისა და სხვა სოციალური ჯგუფების ჩართულობა ადგილობრივ მმართველობაში საკმაოდ პასიურად მიმდინარეობს, შეინიშნება, რომ ამ პროცესებში ქალები ნაკლებად აქტიურად არიან ჩართულები. ჯერჯერობით ცოტაა გენდერულად მგრძნობიარე და ქალთა საკითხებზე სამუშაოდ მოტივირებული ქალები, რომლებიც შეძლებენ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ქალთა და გენდერული პრობლემატიკის წამოწევას“.

„ქალის მონაწილეობა პოლიტიკაში მას ნაკლებად ხისტს და მეტად კომპრომისულს გახდიდა, გაიზრდებოდა დიალოგის და დებატების კულტურა. ამ მხრივ, ჩემი აზრით, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა დაიცვან წარმომადგენლობებში ქალთა და მამაკაცთა ბალანსი“.

დასკვნა და რეკომენდაციები

ფონდი „სოხუმის“ მიერ სენაკში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის ანალიზმა ცხადყო, რომ კვლევის თავდაპირველი თეორია, ადგილობრივ სინამდვილეში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სოციალური ჯგუფებისა და მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პოლიტიკისა და პრაქტიკის თაობაზე გამყარდა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით.

კვლევამ აჩვენა, რომ მოქალაქეთა სხვადასხვა სოციალური ჯგუფი ადგილობრივ ხელისუფლებას განიხილავს, როგორც ადგილობრივი მომსახურების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებას. გარდა ამისა,

ისინი მოიაზრებენ ადგილობრივ სტრუქტურებს, როგორც სოციალური სამართლიანობის, მოქალაქეთა ინტერესების დაცვის გარანტს და ისურვებდნენ, ის უფრო აქტიურად იყოს ჩართული არსებული სახელმწიფო პროგრამების სამართლიანი განხორციელების მონიტორინგში და უფრო მეტად დაიცვას მოქალაქეთა ინტერესები.

კვლევაში აისახა საერთო ტენდენცია - იხილონ უფრო მეტად დახვეწილი ადგილობრივი მუნიციპალური მიზნობრივი პროგრამები და ისინი, პირველ რიგში, მიმართული იყოს გრძელვადიანი პროექტების მხარდაჭერისაკენ, რაც საბოლოო ანგარიშით, მინიმუმამდე დაიყვანს სახელმწიფო შემწეობის იმედად მყოფი მოქალაქეების რიცხვს და მიმართული იქნება მათი განვითარებისაკენ. აქცენტი გაკეთდა ეკონომიკური პროექტების მხარდაჭერაზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის აღორძინების და ადგილობრივი ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოების მხარდაჭერაზე.

კვლევის ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა ადგილობრივი თვითმმართველობისათვის სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებების შემუშავება, რაც ქვემოთ არის წარმოდგენილი.

თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში

- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის თანაბარი მონაწილეობა ბიუჯეტის ფორმირებისა და საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრისას, რათა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ამ ჯგუფების საჭიროებები და გამოყენებული იქნას მათი გამოცდილება;
- მოქალაქეთა სოციალური დაცვის მიმართულებით პრიორიტეტების განსაზღვრისათვის შესაბამისი კვლევების ჩატარება ან უკვე არსებული ინფორმაციის გათვალისწინება.

დედათა და ბავშვთა დაცვა

- ორსულთა, ახალშობილთა, მშობიარეთა და ნაყოფის დაცვის ადგილობრივი ღონისძიებების მხარდაჭერა. ოჯახების გარკვეული კატეგორიისთვის (მაგალითად, სტუდენტები) მშობიარობის შემდგომი დახმარების საკითხის განხილვა;
- რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვა, ქალურ ორგანოთა საშიში დაავადებების (მათ შორის სიმსივნური) პროფილაქტიკის ღონისძიებების მხარდაჭერა.

ადგილობრივი გენდერული ჯგუფების სასიცოცხლო საჭიროებების დაკმაყოფილება

- ადგილობრივი გენდერული ჯგუფების სრულყოფილი ინფორმირება ადგილობრივი საბიუჯეტო პროგრამების თობაზე;
- იგპ-თა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხებში ადგილობრივი პასუხისმგებლობის სრულად გათავისება და შესაბამის სტრუქტურებთან (დევნილთა და განსახლების სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურები) კოორდინაციის გაზრდა;
- ხანდაზმულთა სოციალური დაცვის სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტებისთვის განათლების ხელშეწყობა, წარმატებული სტუდენტების წახალისება;
- მარტოხელა დედების, ქვრივი და მარჩენალდაკარგული ქალების სოციალური ხელშეწყობისათვის სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა.

ადგილობრივი მულტიდისციპლინარული თანამშრომლობა

- ადგილობრივ დაინტერესებულ საზოგადოებასა და სახელისუფლებო სტრუქტურებთან ერთად გენდერული სტატისტიკის და გენდერული მონიტორინგისა და ანალიზის სისტემის დანერგვა;
- მჭიდრო თანამშრომლობა საკრებულოს გენდერულ საკონსულტაციო საბჭოსთან (ფონდ „სოხუმთან“ გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე);
- გენდერული ბიუჯეტის პრაქტიკის დანერგვა, ბიუჯეტის გენდერული მონიტორინგის ჩატარება ქალებსა და კაცებზე, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფზე მისი გავლენის შეფასებისა და ანალიზისთვის;
- „გენდერული თანასწორობის კანონის“, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონების სამოქმედო გეგმების ადგილობრივი ვალდებულებების, „თვითმმართველობის შესახებ“ კანონის გენდერული უფლებამოსილებისა და ვალდებულებების შესაბამისად ადგილობრივი სექტორთშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია;
- ადგილობრივი ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ანგარიშგების უზრუნველყოფა, მოსახლეობაზე მისი გავლენის შესწავლა;
- გენდერულ-ეკონომიკურ პოლიტიკაში, დაგეგმვასა და საბიუჯეტო პროცესებში თვითმმართველობისა და სხვა ადგილობრივი ინსტიტუტების ცნობიერების ამაღლება.

უმუშევრობის შემცირება და სხვადასხვა ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

- ქალთა მცირე ბიზნესის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მისი განვითარების პროგრამების მხარდაჭერა. საინფორმაციო რესურს-ცენტრების უზრუნველყოფა;
- გრძელვადიანი სოციალური პროექტების შექმნა, რომელიც გარკვეული ჯგუფებისათვის დახმარების პროგრამებს ჩაანაცვლებს ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით;
- ადგილობრივი ბიუჯეტის სოციალური ხარჯების ეფექტურობის პერიოდული ანალიზი. მონიტორინგის სისტემის შექმნა.

რეპროდუქტიული შრომის მხარდაჭერა

- დასაქმების ისეთი პროგრამების შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს დიასახლისებს, ვინც ოჯახს ვერ ტოვებს (პატარა ბავშვების, უძლური მოხუცების გამო), ჩაერთონ სამეწარმეო ან სხვა ტიპის საქმიანობაში ოჯახიდან გაუსვლელად (ტრადიციული ხელსაქმე, რეწვა);
- კერძო სექტორის იმ წარმომადგენელთათვის, ვინც რეპროდუქტიულ შრომას წაახალისებს, ადგილობრივ გადასახადებზე შეღავათების დაწესება;
- რეპროდუქტიული შრომის (ავადმყოფების, შშმ ბავშვების მოვლის), ზრუნვის პოლიტიკის წახალისების და მხარდაჭერის ღონისძიებების დასახვა.

სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა

- სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოება მოსახლეობის საჭიროებების შესაბამისად;

- სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, ლოგოპედების, ფსიქოლოგების კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების მხარდაჭერა;
- სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის ხელშეწყობა: ორთოპედის, ოკულისტის მიერ აღსაზრდელთა პერიოდული შემოწმების პროგრამების მხარდაჭერა;
- საბავშვო ბაღების მომსახურე პერსონალის (პედაგოგ-მასწავლებელთა პარალელურად) ანაზღაურების გაზრდის შესაძლებლობების განხილვა.

ადგილობრივი კომპეტენციის საკითხების გაფართოება

- ქალთა წახალისება (პედაგოგები, ხელოვნების სფეროს მუშაკები, მეწარმეები და ა.შ) მათთვის მცირე მიზნობრივი გრანტების (გამოფენა-გაყიდვების, ნაშრომების გამოცემის და ა.შ.) გამოყოფის კუთხით;
- სოციალური დაცვის, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის სრულყოფა, წინადადებების მომზადება საბიუჯეტო დეცენტრალიზაციისათვის და სოციალური საქმიანობის დაფინანსების უფრო მიზნობრივი და ადრესული დახმარების უზრუნველყოფისათვის;
- შშმ ჯგუფებისათვის არა ერთჯერადი ღონისძიებების, არამედ თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება მათზე მორგებული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად;
- ბაზრის მოთხოვნების კვლევის საფუძველზე მოთხოვნადი პროფესიების კუთხით ქალთა და სხვა გენდერული ჯგუფების პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა.

სოციალურად საშიში დაავადებების პრევენცია ადგილობრივ დონეზე

- ადგილობრივ დონეზე სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობის მაქსიმალური გამართვა;
- სოციალური ტიპის დაავადებების სტატისტიკის სისტემის შექმნა. სოციალური საფრთხის შემცველი ადგილობრივი დაავადებების მასშტაბების შესწავლა;
- ადგილობრივ დონეზე სოციალურად საშიში დაავადებების (ტუბერკულოზის, ჰეპატიტ „C“, აივ-შიდსი და სხვა) პრევენციის ღონისძიებებში კვალიფიციური სპეციალისტების, დარგის ექსპერტების ჩართვა;
- სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების მხარდაჭერა (ინფორმირების, პრევენციის მიმართულება);
- პროდუქტების კონტროლის ადგილობრივი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

ახალგაზრდობის განათლებისა და განვითარების პროგრამები

- თვითმმართველობის ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიის შექმნა. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, მათი განათლებისა და განვითარების საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- სკოლებში სანიტარული კულტურისა და სქესობრივი აღზრდის პროგრამების მხარდაჭერა;

- ახალგაზრდული სტაჟირების სისტემისათვის საფუძვლების შექმნა ადგილობრივ ხელისუფლებაში, კერძო საწარმოების სტიმულირება ამ მიმართულებით;
- წარმატებულ სტუდენტთა წახალისება (საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირება, ნაშრომების გამოცემა). შესაძლებლობების რეალიზებაში დახმარების გაწევა (გამოფენის მოწყობა, სასურველი პროფესიების კუთხით გადამზადება).

გენდერული ნიშნით ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკა და თანამშრომლობა მსხვერპლის დაცვის კუთხით

- ოჯახში ძალადობის სტატისტიკის სისტემის შექმნა;
- ტრენინგების ჩატარება ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობის პერსონალის, სამართალდამცავების, სოციალური მუშაკებისა და ჟურნალისტებისათვის არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით;
- ადგილობრივი სოციალური სერვისების უზრუნველყოფა ძალადობის მსხვერპლისათვის;
- ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში მსხვერპლის დახმარების ღონისძიებების უზრუნველყოფა ძალადობის აღკვეთის რეფერალური მექანიზმების სხვა სუბიექტებთან ერთად.